10/07/2024

MES 4 24 0000840245

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 2 ივლისს 12:40 საათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Time: Jul 2, 2024 12:00 PM Tbilisi
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/88098690215?pwd=DWirN51lzUaVI6t8VQcwdDdI7pDbPs.1
Meeting ID: 880 9869 0215
Passcode: 252326

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:
ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
სალომე სანაია - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
ნათია კვიციანი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი კოორდინატორი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
სალომე ქუთათელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ნონა საათაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

დაწესებულების წარმომადგენელი:

სსიპ - ქ. ზესტაფონის №6 საჯარო სკოლა
ნანა სარალიძე - დირექტორი
მარიამ მარუაშვილი - დირექტორის მოადგილე
ლევან ბოგვერაძე - პროფესიული მომზადების პროგრამის „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“ განმახორციელებელი პირი

სსიპ - დაბა ასპინძის საჯარო სკოლა
კლარა ზედგინიძე - დირექტორი
ლალი ალელიშვილი - პროფესიული მომზადების პროგრამის „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“ განმახორციელებელი პირი

სსიპ - ახალციხის მუნიციპალიტეტის ქ. ვალის №1 საჯარო სკოლა
ირა გიორგაძე - დირექტორი
ნინო დარბაიძე - პროფესიული მომზადების პროგრამის „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“ განმახორციელებელი პირი

სსიპ კოლეჯი „მოდუსი“
ნინო ქავთარაძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
მაია დალაქიშვილი- დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში
მადონა გოგობერიშვილი- ხარისხის მართვის მენეჯერი
რუსუდან ქურასბედიანი - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი
პაატა გოგოლაძე - შპს "ბაზალტ ფაიბერის" დირექტორი
თემო გრძელიძე - შპს "ბაზალტ ფაიბერის" დირექტორის მოადგილე
ლევან შერაზადიშვილი -შპს "ბაზალტ ფაიბერსი" ტექნიკური მენეჯერი
ვაჟა ჩაგელიშვილი - შპს "ბაზალტ ფაიბერი" ხარისხის მართვის მენეჯერი
რატი ბერიშვილი - შპს "ბაზალტ ფაიბერი" საღუმელე საამქროს უფროსი
ეკატერინე ტაბატაძე - შპს "ბაზალტ ფაიბერი" ადმინისტრაციის წევრი

სსიპ კოლეჯი „ოპიზარი“
ბელა ავალიშვილი - დირექტორი
მაია თედორაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
მანანა ოკოშვილი - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი

შპს 12 რაუნდი
ვასილ წიკლაური - დირექტორი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგ ის ექსპერტები:

ალექსანდრე კეკენაძე
რამინ აბესაძე
თამარ ახალაძე
კახაბერ ხვედელიძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:40 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წინადადებით, ვინაიდან საბჭოს მდივანი მარიკა ზაქარეიშვილი არ ესწრებოდა სხდომას, საბჭოს მდივნის ფუნქცია შეესრულებინა საბჭოს წევრ გიორგი გამყრელიძეს, რაზეც გიორგი გამყრელიძემ თანხმობა განაცხადა.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. სსიპ - ქ. ზესტაფონის №6 საჯარო სკოლის „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“ /02009/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
2. სსიპ - დაბა ასპინძის საჯარო სკოლის „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“ /02015/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
3. სსიპ - ახალციხის მუნიციპალიტეტის ქ. ვალის №1 საჯარო სკოლის „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“ /02017/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
4. სსიპ კოლეჯ „მოდუსის“ „მაღალტემპერატურული ტექნოლოგიების ოპერატორი“ /01984/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
5. სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ „კარტოფილის წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიები“ /01939/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

6. სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ „სამკურნალო მცენარეების დამზადება“ /01938/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
7. შპს 12 რაუნდის „ფიტნეს ინსტრუქტორი“ /01888/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომა გაიმართა დღის წესრიგის მიხედვით.

1. სსიპ - ქ. ზესტაფონის №6 საჯარო სკოლის „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“ /02009/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. სსიპ - დაბა ასპინძის საჯარო სკოლის „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“ /02015/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. სსიპ - ახალციხის მუნიციპალიტეტის ქ. ვალის №1 საჯარო სკოლისთვის „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სკოლების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს, პროგრამებს და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნებს.
საკითხები საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა მაყვალა დარსანიამ, მან განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამა „კომპიუტერის პროგრამული მხარდაჭერა“, რომელიც ამ ეტაპზე განხორციელდება აღნიშნულ სკოლებში, შემუშავებულია პროექტის ფარგლებში - თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის. პროექტის მიზანია, მოქნილი პროფესიული განათლების ქსელის შექმნა, განსაკუთრებით იმ რეგიონებში/ მუნიციპალიტეტებში, სადაც არ არის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები. აღნიშნული ხელს შეუწყობს კვალიფიკაციების და უნარების განვითარებას და პროფესიული განათლების მასშტაბისა და ხელმისაწვდომობის გაზრდას. დაგეგმილია ქვეყნის მასშტაბით 20 საჯარო სკოლაში პროფესიული განათლების დანერგვა და 2 ინოვაციური ჰაბის დაარსება. პროექტით განსაზღვრულია 7 ეკონომიკური სექტორი: ელექტრონული ინჟინერია, ინფორმაციული და

საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სამედიცინო და ფარმაცევტული წარმოება, მოდა და დიზაინი, წყლის რესურსების ინჟინერია, ავეჯის წარმოება და სადურგლო საქმე და მომსახურება (მასპინძლობა და ტურიზმი). პროექტის ეფექტი მდგომარეობს ქვეყნის ადამიანური რესურსის პოტენციალის ზრდაში. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ პროექტი წარმოადგენს საქართველოს განათლების სისტემაში პირველ პრეცენდენტს, რომლის ფარგლებშიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ხდება პროფესიული განათლების პროვაიდერი. ამ ეტაპზე შერჩეული იქნა 3 საჯარო სკოლა, სადაც განხორციელდება, მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამები.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 14 ივნისის №665592, №665652 და №665679 ბრძანებების საფუძველზე სსიპ - ქ. ზესტაფონის №6, დაბა ასპინძის და ახალციხის მუნიციპალიტეტის ქ. ვალის №1 საჯარო სკოლებში შეფასებულ იქნა პროფესიული მომზადების პროგრამის „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადები და 2024 წლის 19, 20 და 21 ივნისს განხორციელდა ვიზიტები აღნიშნულ საჯარო სკოლებში

ცენტრის წარმომადგენელმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი.

სკოლებში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის კოდები/ID და განხორციელების ადგილები არის განსხვავებული, ხოლო დანარჩენი პარამეტრები იდენტურია, კერძოდ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 10 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15.

პროგრამის განხორციელების ადგილი - სსიპ - ქ. ზესტაფონის №6 საჯარო სკოლა/ქ. ზესტაფონი, კეკელიძის ქ. №14, დაბა ასპინძის საჯარო სკოლა/დაბა ასპინძა, რუსთაველის ქ. №17 და ახალციხის მუნიციპალიტეტის ქ. ვალის №1 საჯარო სკოლა/ქ. ვალე, 9 აპრილის ქ. №3.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საჭიროების დასაბუთების დოკუმენტი, რომლის თანახმად, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით სხვადასხვა დარგების განვითარების ხელშეწყობა ქვეყნისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა და სხვადასხვა დარგში საქმიანობის ეფექტურად წარმართვა რეგიონებში/მუნიციპალიტეტებში, სადაც არ ფუნქციონირებს პროფესიული დაწესებულებები, ახალი კადრების მომზადება-გადამზადების და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობად განიხილება.

რეგიონში განვითარებადი დარგების შესასწავლად ჩატარებული ანალიზის მიხედვით ირკვევა, რომ თითქმის ყველა მიმართულებით სუსტ მხარეებშია მოხსენიებული მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენება, პროფესიული კადრების ნაკლებობა, წარმოებაში თანამედროვე ტექნოლოგიების არასაკმარისი ხარისხით გამოყენება, ახალი კადრების მომზადება-გადამზადების სისტემის არ არსებობა და სხვა, რიგი ნაკლოვანებები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება ახალი შესაძლებლობების, დასაქმების ადგილების გაჩენას კვალიფიციური კადრების მომზადება-გადამზადების გზით. ამ ეტაპზე რეგიონის/მუნიციპალიტეტის არც ერთ სკოლაში არ ხორციელდება ასეთი პროგრამები, შესაბამისად წარმოდგენილი სკოლები იქნება ის დაწესებულებები, რომლებიც მოამზადებს პირებს შესაბამისი უნარებით.

პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და

გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: საბაზო განათლება; აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.
წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამა ითვალისწინებს ოთხი სწავლის შედეგის მიღწევას, პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე, უნარით ან/და კომპეტენციით. პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა 10 კვირაა, კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა - 10 საათი, სულ საათების რაოდენობა -104. სწავლება განხორციელდება აღნიშნული სკოლების B სასწავლო გარემოში, წარმოდგენილი პროგრამის განხორციელება დაგეგმილია მეორე ცვლაში, ვინაიდან სამივე სკოლაში მოსწავლეების მეცადინეობები არის დაგეგმილი პირველ ცვლაში.
წარმოდგენილი პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას.
„კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფის“ პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში სამივე სკოლის მიერ მოთხოვნილია 15-15 მსმენელის მიღება. მსმენელებისთვის ხელმისაწვდომი იქნება ელექტრონული სასწავლო რესურსები, ასევე სისტემატური დახმარების სერვისი მოერგება თითოეული მსმენელის საჭიროებას. ჯგუფის სწავლების პროცესში ჩართულია ერთი სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი. მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით. სამივე სკოლას ატვირთული აქვს ელექტრონულ სისტემაში განმახორციელებელი პირების განათლების/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები.
განმახორციელებელ პირებთან გაფორმებულია შეთანხმება, შეთანხმება ხელმოწერილია სკოლის უფლებამოსილი პირის მიერ და დამოწმებულია ბეჭდით.
შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან, რომელიც დაზუსტდება კომპეტენტური ორგანოს მიერ პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შემდეგ პროგრამის განხორიელების ვადით. მსმენელები რეალურ სამუშაო გარემოში შეიძენენ და განივითარებენ იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც საჭიროა დასაქმებისთვის. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, სკოლებს აქვს შესაძლებლობა მოემსახუროს 15 მსმენელს და შესთავაზოს მაღალი დონის პრაქტიკული უნარების შეძენა.
სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელთათვის როგორც მატერიალურად, ასევე ელექტრონულად, სასწავლო რესურსი ფარავს პროგრამის თითქმის ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე. სამივე სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუირების დროს გაირკვა, რომ სკოლას ასევე შეძენილი აქვს Windows 10 /სახელმძღვანელო, რომელიც ვიზიტის დროს ადგილზე ვერ წარმოადგინეს, თუმცა მოგვიანებით სამივე სკოლის მიერ ცენტრში წარმოდგენილიქნა დოკუმენტი/სასაქონლო ზედნადები რომელიც ადასტურებს სასწავლო სახელმძღვანელოს შეძენის ფაქტს დოკუმენტები მიეწოდა საბჭოს წევრებს.
სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, სამივე სკოლას წარმოდგენილი აქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებები საჯარო სკოლების ავტორიზაციის შესახებ, რომელიც სკოლას მიენიჭა 6 წლის ვადით.
იურიდიული პირი აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, როგორც აღინიშნა, ქ. ზესტაფონის №6, დაბა ასპინძის და ახალციხის მუნიციპალიტეტის ქ. ვალის №1 სკოლები არის საჯარო სამართლის იურიდიული პირები, აღნიშნულმა სკოლებმა ავტორიზაცია გაიარეს 2023 წელს, შესაბამისად დაწესებულებები აცნობიერებენ საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში.

იურიდიული პირი აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან. სკოლები უზრუნველყოფენ მათ მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას, რაც დასტურდება სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით.
საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს. აღნიშნულ სკოლებს ელ. სისტემაში ატვირთული აქვთ დოკუმენტი - ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით, დოკუმენტის მიხედვით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიზანია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, იმოქმედე“ ციკლის (PDCA) პრინციპით.
რაც შეეხება 3.5, 3.6 და 3.7 ქვესტანდარტებს, გამოცდილების არ არსებობის გამო ქვესტანდარტები არ ექვემდებარება შეფასებას.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სკოლების B სასწავლო გარემოს ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა მადლობა გადაუხადა ცენტრის წარმომადგენელს პრეზენტაციის წარდგენისთვის და მიმართა თამარ მამსიკაშვილს - თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარების პროექტის სკოლების კოორდინატორს გამოეთქვა მოსაზრება წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით.
თამარ მამსიკაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებს, დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ პირველი პრეცენდენტია საჯარო სკოლებში პროფესიული მომზადების-პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვის საკითხი, აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ ამ ეტაპზე შერჩეული იქნა 3 საჯარო სკოლა, სადაც განხორციელდება მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამები. პროექტის მიზანია, მოქნილი პროფესიული განათლების ქსელის შექმნა, განსაკუთრებით იმ რეგიონებში/მუნიციპალიტეტებში, სადაც არ არის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები. აღნიშნული ხელს შეუწყობს კვალიფიკაციების და უნარების განვითარებას და პროფესიული განათლების მასშტაბისა და ხელმისაწვდომობის გაზრდას. პროექტის ეფექტი მდგომარეობს ქვეყნის ადამიანური რესურსის პოტენციალის ზრდაში.
მან მადლობა გადაუხადა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მხარდაჭერისთვის და წარმატებები უსურვა სკოლებს.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ეკატერინე გიგაშვილს, აზიის განვითარების ბანკის კონსულტანტს, მან განაცხადა, რომ პირველად ესწრება პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელ საბჭოს, კიდევ ერთხელ გამოხატა მადლიერება ცენტრის მიმართ ასეთი უპირობო მხარდაჭერისთვის, რაც არის მაღალი ხარისხის ნიმუში და კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ცენტრი ძალიან ბევრს აკეთებს მხარდაჭერის კუთხით.
ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ ცენტრი ნამდვილად მზადაა მხარი დაუჭიროს ქვეყნისთვის საჭირო ასეთ პროექტებს, ვინაიდან მოქნილი პროფესიული განათლების ქსელის შექმნა, ხელს შეუწყობს კვალიფიკაციების და უნარების განვითარებას და პროფესიული განათლების მასშტაბისა და ხელმისაწვდომობის გაზრდას. მან დასძინა, რომ დაგეგმილია ქვეყნის მასშტაბით 20 საჯარო სკოლაში პროფესიული განათლების დანერგვა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება. სასურველი იქნებოდა სხვა სკოლების ჩართვაც ამ პროცესში, რაც მისასალმებელია, და გამოთქვა სრული მხარდაჭერა ცენტრის მხრიდან.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქ. ზესტაფონის №6 საჯარო სკოლის „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“ /02009/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქ. ზესტაფონის №6 საჯარო სკოლას(ს/კ: 230058852) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა /02009/ **(დანართი 1)**.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - დაბა ასპინძის საჯარო სკოლის „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“ /02015/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - დაბა ასპინძის საჯარო სკოლას (ს/კ: 223104263) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა /02015/ **(დანართი 2)**.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ახალციხის მუნიციპალიტეტის ქ. ვალის №1 საჯარო სკოლისთვის „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ახალციხის მუნიციპალიტეტის ქ. ვალის №1 საჯარო სკოლას (ს/კ: 224081482) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა /02017/ **(დანართი 3)**.

4. სსიპ კოლეჯ „მოდუსისთვის „მაღალტემპერატურული ტექნოლოგიების ოპერატორი“ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 3 ივნისის №609637 ბრძანების საფუძველზე, დარგის ექსპერტმა რამინ აბესაძემ და ცენტრის წარმომადგენელმა მაია აბდალაძემ 2024 წლის 7 ივნისს განახორციელეს ვიზიტი სსიპ კოლეჯ ,,მოდუსში“ (ქ.რუსთავი, ჟ.შარტავას ქ.N4)), სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის ,,მაღალტემპერატურული ტექნოლოგიების ოპერატორი“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება; ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-4; პროგრამის ხანგრძლივობა - 8 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობა - 12; პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. რუსთავი, შარტავას ქ. № 4.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საჭიროების დასაბუთების

დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც პროგრამა ხორციელდება შპს „ბაზალტ ფაიბერსის“ მოთხოვნის საფუძველზე;
ბაზრის კვლევა ჩატარდა 2023 წლის ოქტომბერში USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტის “ინოვაციური, ბაზარზე ორიენტირებული პროფესიის მაღალტემპერატურული ტექნოლოგიების ხაზის ოპერატორის განვითარების“ ფარგლებში, შპს „ბაზალტ ფაიბერსის“ მიერ ევროპულ ბიზნეს ასოციაციასთან (EBA) პარტნიორობით. მაღალტემპერატურული ტექნოლოგიები და კერძოდ ბაზალტის წარმოება მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს ეკონომიკაში. ბაზალტის ძაფის წარმოებაში გამოიყენება ბაზალტის ქვების დნობის პროცესი, რომელიც 1400 C მიმდინარეობს. ამ თავისებურების გამო, იგი მიეკუთვნება მძიმე მრეწველობის ვიწრო სფეროს, რომლებიც იყენებენ მაღალტემპერატურულ დნობის ტექნოლოგიას, როგორც ძირითად პროცესს. ამ ინდუსტრიებში საქართველოს მასშტაბით 30-მდე საწარმოო ობიექტია; დარგის საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროგრამის შემუშავების და საჭირო კვალიფიციური კადრების მომზადების მიზნით, კომპანიამ ურთიერთთანამშრომლობისთვის მიმართა კოლეჯ „მოდუსს“.
წარმოდგენილი პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა გასაუბრება. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა - გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 8 კვირას,
  კვირეული დატვირთვა არის - 10 საათი; სწავლა განხორციელდება კოლეჯ „მოდუსის“ კეთილმოწყობილ აუდიტორიაში, ასევე რეალურ გარემოში - კომპანია “ბაზალტ ფაიბერსში“. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებულია, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული უნარების განვითარება, თუმცა ძირითადი აქცენტი პრექტიკულ სწავლებაზეა გაკეთებული.
სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით.
მესამე სტანდარტთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ყველა ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია.
პრეზენტაციის ბოლოს დარგის ექსპერტმა წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პრეზენტაციის წარმოდგენისთვის და სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს. დაწესებულების წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს დარგის ექსპერტს, საბჭოს წევრებს მხარდაჭრისთვის. მან დასძინა, რომ დაწესებულებამ იზრუნა იმაზე, რომ წარმოდგენილი პროგრამა არ ყოფილიყო ერთ კომპანიაზე მორგებული, რაც მისი აზრით წარმატებული იქნებოდა პროგრამის განხორციელების კუთხით.
საბჭოს ესწრებოდნენ ასევე პარტნიორი კომპანიის წარმომადგენლები, კომპანიიის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ამ პროგრამის განხორციელება, განსაკუთრებით იმ მხრივ, რომ სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი უფრო მეტად შეუწყობდა ხელს კურსდამთავრებულების დასაქმებას.
საბჭოს წევრი ნათია კვიციანი დაინტერესდა, ანაზღაურებასთან დაკავშირებით, რაზეც დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ როგორც პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, 1300-1400 ლარი იქნებოდა ანაზღაურება.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ „მოდუსისთვის“ „მაღალტემპერატურული ტექნოლოგიების ოპერატორი“ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „მოდუსს“ (ს/კ: 216350829) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - მაღალტემპერატურული ტექნოლოგიების ოპერატორი /01984/ **(დანართი 4)**.

5. სსიპ კოლეჯ „ოპიზარისთვის“ „კარტოფილის წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიები“ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
6. სსიპ კოლეჯ „ოპიზარისთვის“ „სამკურნალო მცენარეების დამზადება“ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს, პროგრამებს და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.
პრეზენტაცია ორივე საკითხთან დაკავშირებით საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა თამარ ახალაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების

ეროვნული ცენტრის 2024 წლის 14 მაისის №518183 და №518184 ბრძანებების საფუძველზე, დარგის ექსპერტმა თამარ ახალაძემ და ცენტრის წარმომადგენელმა ნონა საათაშვილმა 4 და 5 ივნისს განახორციელეს ვიზიტი სსიპ კოლეჯ „ოპიზარში“ ქ. ახალციხეში. ვიზიტის დროს გადამოწმდა პროფესიული მომზადების და გადამზადების პროგრამების სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი.

„კარტოფილის წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიები“ - პროფესიული გადამზადების პროგრამა

დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით თამარ ახალაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამის სახეა - გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-3, პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში - 12, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 20, ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №111.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ კოლეჯი წლებია ახორციელებს აგრარული პროფილის პროგრამებს და ამზადებს კადრებს რეგიონული საჭიროებების უზრუნველსაყოფად. ამავდროულად იგი მჭიდროდ თანამშრომლობს დამსაქმებელ ორგანიზაციებთან და ითვალისწინებს მათ მოთხოვნებს კადრების მომზადებისა, თუ გადამზადების მხრივ. კარტოფილის საერთაშორისო ორგანიზაციამ მიმართა კოლეჯს თანამშრომლობასთან დაკავშირებით. მისი მიზანი იყო უვირუსო კარტოფილის სანერგე მასალის წარმოება მცენარეთა გამრავლებისა და კვლავწარმოების მიზნით. კოლეჯი ყოველთვის მზადაა სიახლეებისთვის. კოლეჯის ადმინისტრაცია დაუკავშირდა პროექტის ორგანიზატორს და შეთანხმდნენ შემდგომ თანამშრომლობაზე, რადგან კარტოფილი სამცხე - ჯავახეთის რეგიონის კულტურაა და ხარისხიანი სათესლე მასალა აუცილებელი მოთხოვნაა კარტოფილის წარმოებაში.

პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - საბაზო განათლება, დარგში ერთწლიანი გამოცდილებით, აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა - გადასუბრება.

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით. წარმოდგენილი პროფესიული გადამზადების პროგრამა ითვალისწინებს ოთხი სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია, პროგრამის ხანგრძლივობა 12 კვირაა, კვირეული დატვირთვა - 15 საათი, სულ საათების რაოდენობა - 170, სწავლების დროს გამოიყენება რელევანტური მეთოდები. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, სწავლა განხორციელდება, როგორც კოლეჯის აუდიტორიაში, ასევე რეალურ სამუშაო გარემოში, პარტნიორი ორგანიზაციის შპს „სასოფლო საკონსულტაციო სამსახური“ ბაზაზე (C1-ლაბორატორია, C2-სადემონსტრაციო ნაკვეთი).

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით, რაც დასტურდება წარმოდგენილი განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, წარმოდგენილი სასწავლო რესურსით და სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით სახანძრო უსაფრთხოების დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

სსიპ - კოლეჯი „ოპიზარი“ არის ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებს, შესაბამისად აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას, საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას, თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან, ახორციელებს დროულ ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას, გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს.

„სამკურნალო მცენარეების დამზადება“ - პროფესიული მომზადების პროგრამა

ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით თამარ ახალაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-3, პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში - 22, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 20, ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №111.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ სამცხე-ჯავახეთი მცენარეთა საფარის დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამკურნალო მცენარეებს, რომელთა ბიომრავალფეროვნებით მდიდარია რეგიონი. სსიპ კოლეჯი „ოპიზარი“ 2007 წლიდან ახორციელებდა საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „მცენარეების დამამზადებელი (სამკურნალო, არომატული)“, 2014 წელს გაიხსნა სამკურნალო მცენარეთა საშრობ-დამახარისხებელი საწარმო შპს „გეო-ფლაუერი“, პროდუქცია იგზავნება საქართველოს მასშტაბით, ასევე დიდი წილი გადის ევროპის ქვეყნებსა და ჩინეთში. წარმადობა ყოველწლიურად იზრდება, რისთვისაც საჭირო გახდა საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე დამატებით საშრობი ფართის მოწყობა. საწარმო ასე ფართოვდებოდა: 2016-2017 წწ. აშენდა ადმინისტრაციის და მექანიკური შრობის საწარმო; 2020 - 2023 წელს დაემატა ბუნებრივი საშრობი ფართი; 2020 წელს რეგიონში, სეზონზე (აპრილიდან-სექტემბრის ჩათვლით) საწარმო 24 საათიან რეჟიმში მუშაობს. დღე-ღამეში შრება 3-4 ტონამდე სამკურნალო მცენარე.

პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - საბაზო განათლება, დარგში ერთწლიანი გამოცდილებით, აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა - გასაუბრება. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით. წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამა ითვალისწინებს რვა სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია, პროგრამის ხანგრძლივობა 22 კვირაა, კვირეული დატვირთვა - 15 საათი, სულ საათების რაოდენობა - 310, სწავლების დროს გამოიყენება რელევანტური მეთოდები. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, სწავლა განხორციელდება, როგორც კოლეჯის აუდიტორიაში, ასევე რეალურ სამუშაო გარემოში პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე.

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით, რაც დასტურდება წარმოდგენილი განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, წარმოდგენილი სასწავლო რესურსით და გარემოების ვიზუალური დათვალიერებით.
პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში მოთხოვნილია მინიმუმ 6 , მაქსიმუმ 10 მსმენელი ჯგუფში, საერთო ზღვრული რაოდენობა კი ერთი მიღების ფარგლებში სეადგენს - 20 მსმენელს.
წარმოდგენილი პროგრამის თეორიულ კომპონენტს მსმენელები გაივლიან ცენტრის სასწავლო სივრცეში (A გარემო) სადაც არის 10 მსმენელის სამუშაო/სასწავლო ადგილი, ასევე არის მასწავლებლის სამუშაო სივრცე, კომპიუტერი, დემონსტრირების ციფრული საშუალება; აუდიტორია დატვირთულია თვალსაჩინოებებით, ჰერბარიუმებით, მცენარეთა თესლებით, საიდენტიფიკაციო ბარათებით დ ა. შ. C1 სასწავლო გარემოს წარმოადგენს საკოლექციო-სადემოსტრაციო ნაკვეთი, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულების სივრცეში მდებარეობს. ნაკვეთი გამოიყენება სამკურნალო მცენარეების კულტივირებისათვის.
რაც შეეხება მეორე და მესამე სტანდარტის ქვესტანდარტებს, იქიდან გამომდინარე, რომ წარმოდგენილი პროგრამაც სსიპ - კოლეჯ „ოპიზარის“ მიერ არის წარმოდგენილი, შეფასდა ანალოგიურად.
პრეზენტაციის ბოლოს დარგის ექსპერტმა წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა მიმართა დაწესებულების დირექტორს წარმოდგენილ პროგრამასთან დაკავშირებით, რომელიც სამი წელი ხორციელდებოდა წარმატებით დაწესებულებაში, შესაბამისად დაწესებულებამ განმეორებით შემოიტანა განაცხადი ცენტრში და დაინტერესდა თუ რამდენი კურსდამთავრებული ჰყავდა დაწესებულებას, რაზეც კოლეჯის დირექტორმა ბელა ავალიშვილმა აღნიშნა, რომ 5 ნაკადი განხორციელდა, სერტიფიკატი აიღო 47 კურსდამთავრებულმა. მან დასძინა, რომ პროგრამა, რომელიც დაწესებულებამ შეიმუშავა ისეა აწყობილი, რომ სეზონზე შესაძლებელი იყოს იმ თემატიკის/საკითხების გავლა, რაც პროგრამაშია ჩადებული. საკმაოდ საინტერესო პროგრამაა და დაწესებულებას იმედი აქვს, რომ ამ ეტაპზეც წარმატებით განხორციელდება.
საბჭოს წევრი ნათია კვიციანი დაინტერესდა, თუ თანამშრომლობდა დაწესებულება ფარმაცევტულ კომპანიასთან, რომელიც მცენარეებზე დაფუძნებულ პრეპარატებს ამზადებს, რაზეც კოლეჯის დირექტორმა განაცხადა, რომ არ თანამშრომლობდა ფარმაცევტულ კომპანიასთან, მან დასძინა, რომ წარმოდგენილი პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ მცენარეთა მოპოვებას, მოყვანა/მოვლას დაფასოებამდე და რეალიზაციამდე.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ „ოპიზარისთვის“ „კარტოფილის წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიები“ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს

მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ „ოპიზარს“ (ს/კ: 224066980) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - კარტოფილის წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიები /01939/ **(დანართი 5)**.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ „ოპიზარისთვის“ „სამკურნალო მცენარეების დამზადება“ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ „ოპიზარს“ (ს/კ: 224066980) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - სამკურნალო მცენარეების დამზადება /01938/ **(დანართი 6)**.

7. შპს 12 რაუნდისთვის „ფიტნეს ინსტრუქტორი“ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა კახაბერ ხვედელიძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 20 მაისის №548624 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა, კახაბერ ხვედელიძემ განახორციელეს ვიზიტი შპს 12 რაუნდში, პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების ადგილზე, მის: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №72ა. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის „ფიტნეს ინსტრუქტორი“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი.
ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა. გაიცა რეკომენდაცია 2.1 და 2.3 ქვესტანდარტთან მიმართებაში.

ქვესტანდარტი 2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური
რესურსით

პროფესიული მომზადების პროგრამის დოკუმენტში განსაზღვრული სწავლის შედეგები: პლასტიკური ანატომია-ფიზიოლოგიის საფუძვლების ცოდნა; ტრავმების პრევენცია, სინდესმოლოგია (სახსრები, მყესები, იოგები); ნუტრიციოლოგიის საბაზისო ცოდნა, ისეთი საგნებიდანაა, როგორებიცაა: ადამიანის
ანატომია, ადამიანის ფიზიოლოგია, ბიოქიმია, ნუტრიციოლოგია. მიზანშეწონილია, რომ აღნიშნული სწავლის შედეგების სწავლებისთვის პროგრამას დაემატოს შესაბამისი დარგის დიპლომირებული სპეციალისტები, თუმცა ვიზიტზე გასაუბრების დროს პროგრამის განმახორციელებელმა პირმა წარმოადგინა ნუტრიციოლოოგიის სერტიფიკატი, რითაც დასტურდება, რომ მას აქვს შესაბამისი ცოდნა პროგრამით გათვალისწინებული მე-8 სწავლის შედეგის „ნუტრიციოლოგიის საბაზისო ცოდნა“ სწავლებისთვის. ამდენად, მიზანშეწონილია პროგრამას დაემატოს ერთი განმახორციელებელი პირი, კერძოდ - ანატომია, ფიზიოლოგია და ბიოქიმიის მიმართულებით.

ქვესტანდარტი 2.3 სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე

მიზანშეწონილია, პროფესიული მომზადების პროგრამის სწავლებისთვის განსაზღვრულ სასწავლო რესურსებს დაემატოს თანამედროვე სასწავლო ლიტერატურა, ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა:
ადამიანის ფიზიოლოგია, ბიოქიმია, ნუტრიციოლოგია.
დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მე-5; პროგრამის ხანგრძლივობა - 11 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 20; პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი № 72ა.
პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ იურიდიულმა პირმა წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საჭიროების დასაბუთების დოკუმენტი, „პროფესიული მომზადების პროგრამის - „ფიტნეს ინსტრუქტორის“ პროგრამის განხორციელების საჭიროების დასაბუთება“, სადაც წარმოდგენილია იურიდიული პირის მიერ ჩატარებული კვლევები და სხვადასხვა უწყებების მიერ მიღებული სტატისტიკები. ფიტნეს ინდუსტრიაში არ არსებობს ერთიანი სტანდარტი, რის მიხედვითაც უნდა მოხდეს დარბაზში მწვრთნელის (ინსტრუქტორის) აყვანა. საბაზისო მოთხოვნები ამ მიმართულებით უცვლელია. პირმა უნდა იცოდეს ანატომიის ზოგადი საფუძვლები (ჩონჩხი, პლასტიკური ანატომია, კუნთის ბიომექანიკური ფუნქციები, სავარჯიშო ინვენტართან ურთიერთობა, უნდა ქონდეს პრაქტიკული გამოცდილება და ფლობდეს იმ უნარებს, რაც სხვა სფეროებში მომსახურების სტანდარტით არის გათვალისწინებული. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სარეაბილიტაციო ცენტრებიდან, არის სავალალო სტატისტიკა, დაწესებულებების ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ მათი პაციენტების 10-20% წარმოადგენს არასწორი ვარჯიშით მიღებული დაზიანებების შედეგს. შრომის ბაზარი ამ მიმართულებით საჭიროებს კვალიფიციურ კადრებს ფიტნეს-

ინსტრუქტორებს, მწვრთნელებს მითუმეტეს, როდესაც საქმე ეხება ადამიანის ჯანმრთელობას და ფიზიკურ მდგომარეობას.
პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - საბაზო განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა - გასაუბრება პროფესიის მოსინჯვის მეთოდით. იურიდიულ პირს შემუშავებული აქვს მსმენელთა გასაუბრებისთვის ტესტები, რომლითაც დადგინდება აპლიკანტთა საბაზო დონე ფიზიკურ მომზადებაში. ასევე, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე მსმენელთან ხელშეკრულების გაფორმების დროს, ხელშეკრულების პირობებში გათვალისწინებული იქნება მსმენელის ჯანმრთელობის მდგომარეობა.
პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით. წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამა ითვალისწინებს რვა სწავლის შედეგების მიღწევას.
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია, პროგრამის ხანგრძლივობა 11 კვირაა, კვირეული დატვირთვა - 20 საათი, გარდა ბოლო კვირისა, სადაც დაგეგმილია 8 საათი განმსაზღვრელი შეფასებისთვის.
პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, პროგრამის განხორციელებისას გათვალისწინებულია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპონენტი. პრაქტიკული კომპონენტი პროგრამის დაახლოებით 80%-ს მოიცავს. სწავლების თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის სწავლება მოხდება იურიდიული პირის მფლობელობაში არსებულ ფიტნეს კლუბის, შესაბამის A-C სასწავლო გარემოში, რომელიც აღჭურვილია პროგრამის სწავლებისთვის ყველა საჭირო მატერიალური რესურსით. მსმენელები მიიღებენ დარგის სპეციალისტებისგან თანამედროვე ცოდნასა და განივითარებენ პრაქტიკულ უნარებს, რომელთა გამოყენებითაც შეძლებენ მუშაობას სატრენაჟორო დარბაზის ფიტნეს ინსტრუქტორად.
მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას, იურიდიულმა პირმა წარმოადგინა დოკუმენტი „პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის მსმენელთა შეფასების წესი“. დოკუმენტის მიხედვით მსმენელის შეფასება ხდება პროგრამის სწავლის შედეგებისთვის განსაზღვრული შეფასების მიმართულებების შესაბამისად.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით. იურიდიულ პირს, პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში მოთხოვნილი აქვს 20 მსმენელი, ერთ ჯგუფში. შენობაში პროგრამის სწავლებისთვის განსაზღვრულია A და C სასწავლო გარემო. პროგრამის თეორიული კომპონენტის სწავლებისთვის სასწავლო გარემოში განთავსებულია ვიდეო და აუდიო მონიტორი, საკონფერენციო მაგიდა, 20 მსმენელზე გათვლილი სამუშაო ადგილი. პრაქტიკული კომპონენტის სწავლებისთვის განკუთვნილია 800 კვ.მ. სივრცე, რომელიც იძლევა შესაძლებლობას მიიღოს 20 მსმენელი ორ ჯგუფად.
როგორც ზემოთ აღინიშნა, წარმოდგენილია სასწავლო რესურსები, რომლებიც ფარავს სწავლის შედეგებს, თუმცა როგორც ზემოთ აღინიშნა, გაიცა რეკომენდაცია სასწავლო რესურსების დამატებასთან დაკავშირებით.
სასწავლო პროცესი წარიმართება უსაფრთხო სასწავლო-სამუშაო გარემოში, რაც დადასტურდა წარმოდგენილი დოკუმენტაციით შენობა-ნაგებობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ.

მესამე სტანდარტთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ იურიდიულმა პირმა წარმოადგინა დოკუმენტი ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელიც შემუშავებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის „პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ 2019 წლის 10 აპრილის N71/ნ ბრძანების საფუძველზე, ასევე წარმოადგინა დოკუმენტი ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომლის მიხედვით ორგანიზაცია მიმდინარე პროცესებთან მიმართებაში გამოიყენებს ე.წ. დემინგის P-D-C-A ციკლს, რომელიც მოიცავს უწყვეტ და განმეორებად რეჟიმში განსახორციელებელ თანმიმდევრულ ეტაპებს. ვინაიდან იურიდიული პირი ახლა შემოდის ფორმალურ სივრცეში, გამოცდილების არარსებობის გამო ვერ შეფასდა 3.3, 3.5 და 3.7 ქვესტანდარტები.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილ იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა მიმართა ორგანიზაციის დირექტორს დარგის ექსპერტის მიერ გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაეფიქსირება მისი მოსაზრება.
ორგანიზაციის დირექტორმა ვასილ წიკლაურმა ადამიანურ რესურსთან დაკავშირებულ გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დამატებით იქნა ცენტრში წარმოდგენილი განმახორციელებელი პირის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი/დიპლომი, რის მიხედვით განმახორციელებელ პირს აქვს ნუტრიციოლოგიის და ანატომია-ფიზიოლოგიის საკითხების სწავლების უფლება. მან განმარტა, რომ განმახორციელებელი პირის დამატებისა და მისი დიპლომის წარმოდგენის შესახებ (ნუტრიოციოლოგია, ბიოქიმია, ფიზიოლოგია) წარმოდგენილი სერტიფიკატები დამოწმებულია IFBB-ის ბეჭდით და სპორტის საერთაშორისო ასოციაციის ბეჭდით, სრულად მოიცავს ზემოთხსენებულ მიმართულებებს.
როგორც მან აღნიშნა, IFBB (ბოდიბილდინგისა და ფიტნესის საერთაშორისო ფედერაცია) ბოდიბილდინგისა და ფიტნესის მიმართულებით უმაღლესი სტანდარტის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც ფაქტიურად ითვლება ამ მიმართულებებში სტანდარტებისა და პროპაგანდის ყველაზე მსხვილ განმახორციელებელად და აერთიანებს 190 ეროვნულ ფედერაციას. გარდა ზემოთხსენებული დიპლომებისა დამატებით რეკომენდაციის გაცემის შემდეგ წარმოდგენილ იქნა ორი საერთაშორისო დიპლომი (ნუტრიოციოლოგია, ბიოქიმია, ფსიქოფიზიოლოგია, ფიზიოლოგია), რომელიც ასევე მოიცავს უფლებას სალექციო კურსების წაყვანის შესახებ.
რაც შეეხება რეკომენდაციას სასწავლო რესურსის შესახებ, ის ელექტრონული პორტალები, რომელშიც მიმდინარეობს სალექციო კურსის მსვლელობა, მოიცავს ბიბლიოთეკას უახლესი სამედიცინო და ფიტნეს მიმართულებების შესახებ და სურვილისამებრ უზრუნველყოფილი იქნება მსმენელებისთვის მათ ჩამოტვირთვა/მიწოდება.
ბოლოს მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის მიზანია ამ დარგის განვითარება და მსმენელებისთვის მაქსიმალურად პრაქტიკული ინფორმაციის მიწოდება და შემხებლობის უზრუნველყოფა პრაქტიკულ კომპონენტთან. ხშირად ფიტნეს ინსტრუქტორი ექიმთან, ფსიქოლოგთან, ტრავმატოლოგთან ასოცირდება. სკოლის მიზანია მკვეთრი დიფერენციაცია მოახდინოს ექიმის ხალათსა და ფიტნეს ინსტრუქტორის მაისურს შორის და საერთო მიზნის (ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა) გარშემო კონსოლიდაცია.
ორგანიზაციის დირექტორმა ბოლოს მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს, საბჭოს წევრებს და სალომე ქუთათელაძეს და დასძინა, რომ მისთვის დიდი პატივია ფორმალურ სივრცეში ამ პროგრამის განხორციელება.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს 12 რაუნდისთვის „ფიტნეს ინსტრუქტორი“ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს 12 რაუნდს (ს/კ: 405414948) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ფიტნეს ინსტრუქტორი /01888/ **(დანართი 7)**.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 14:45 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
გამყრელიძე გიორგი

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02009	კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა	მომზადება	მესამე	10	ქართული	15	ქ. ზესტაფონი, კეკელიძის №14

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02015	კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა	მომზადება	მესამე	10	ქართული	15	დაბა ასპინძა, რუსთაველის ქ. №7

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02017	კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა	მომზადება	მესამე	10	ქართული	15	ქ. ვალე, 9 აპრილის ქ. №3

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01984	მაღალტემპერატურული ტექნოლოგიების ოპერატორი	მომზადება	მეოთხე	8	ქართული	12	ქ. რუსთავი, შარტავას ქ. №4

დანართი 5

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01939	კარტოფილის წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიები	გადამზადება	მესამე	12	ქართული	20	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №111

დანართი 6

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01938	სამკურნალო მცენარეების დამზადება	მომზადება	მესამე	22	ქართული	20	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №111

დანართი 7

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01888	ფიტნეს ინსტრუქტორი	მომზადება	მეხუთე	11	ქართული	20	ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №72ა